

### ***თავისუფალი ტრიოდთირონინი (FT3)***

ტრიოდთირონინი (T3) არის ერთერთი ჰორმონი, რომელსაც ფარისებრი ჯირკვავალი წარმოქმნის. ტრიოდთირონინის მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილია თავისუფალი სახით(თავისუფალი ტრიოდთირონინი ანუ FT3), დანარჩენი კი შეკავშირებულია ცილასთან. T3 ორგანიზმში მეტაბოლიზმს არეგულირებს.

### ***რატომ კეთდება FT3-ის ტესტი?***

FT3-ის ტესტი ინიშნება მაშინ, როდესაც პაციენტს აღენიშნება TSH, T4 ან FT4-ის ანალიზის პასუხებში ნორმიდან გადახრა. FT3-ის ტესტი ძირითადად ჰიპერთირეოიდიზმის სადიაგნოსტიკოდ გამოიყენება .

### ***როგორ მოვემზადოთ ანალიზისთვის და რა არის საჭირო ანალიზის გასაკეთებლად?***

ანალიზისთვის საჭიროა ვენიდან სისხლის აღება. სპეციალური მომზადება საჭირო არ არის.

### ***რას ნიშნავს მომატებული FT3?***

მომატებული FT3 ჰიპერთირეოიდიზმზე მიუთითებს.

### ***რას ნიშნავს დაბალი FT3?***

დაბალი FT3 ჰიპოთირეოიდიზმის დროს გვხვდება.

### ***კიდევ რა დასახელებით შეიძლება შეგვხვდეს?***

სხვა დასახელება არ გააჩნია.

### ***საჭირო ინფორმაცია***

ზოგიერთმა მედიკამენტმა (მაგ. ორალურმა კონტრაცეპტივებმა) შეიძლება გავლენა იქონიოს ტესტის შედეგებზე.